განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ ენაზე)
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2018 წლის 26 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**მედიცინა (ინგლისურენოვანი პროგრამა)**
განათლების საფეხური	ერთციკლიანი პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი 090101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	365 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ესორი ოლვინ ვესტვუდი ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიკოლოზ გვაზავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქ. ცოტნე სამადაშვილი მარტინ აბელოვის ლაბორატორიის - კიბოს კვლევითი ცენტრის ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა დაიწყო 2013 წელს და არის 6-წლიანი ხარისხის პროგრამა, რომელიც ისწავლება ინგლისურად და პირველ კურსდამთავრებულებს უშვებს 2019 წელს. საქართველოს ეროვნული სამედიცინო სექტორის მახასიათებლებთან შესაბამისობის გარდა, პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ასახულ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აკრედიტაციის სტანდარტებს. ამგვარად, იგი დემონსტრირებას უკეთებს ხარისხის უზრუნველყოფასა და სამედიცინო პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების მიწოდებას, რათა სტუდენტებმა შეძლონ მუშაობა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც აღიარებენ საქართველოში მინიჭებულ სამედიცინო ხარისხს, იმიტომ, რომ პროგრამის მიზანია კომპეტენტური დიპლომირებული მედიკოსების მომზადება. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იზიდავს უცხოელ სტუდენტებს, რომელთაც მოეთხოვებათ ინგლისური ენის კომპეტენცია (B2 დონეზე) და საკუთარი ეროვნული გამოცდების ჩაბარება.

სამედიცინის ფაკულტეტმა გამოიჩინა წინდახედულება გაითვალისწინა რა, სამედიცინო განათლების ქართველი სპეციალისტებისა და ექსპერტების რჩევები, ასევე გარე ექსპერტების რჩევები გაერთიანებული სამეფოდან, რომლებიც კონკურენტუნარიანები არია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა კონფიგურირებულია კრედიტების ECTS სისტემაზე, ისწავლება 6 წლიანი (12 სემესტრი) დასწრებული სწავლების ფორმატში. პროგრამას აქვს ძირითადი მეცნიერებებისა და კლინიკური პრაქტიკის პირობებში ინტეგრირებული კურიკულუმი. პროგრამას აქვს ძირითადი სპეციალობის კურიკულუმი (საბაზისო სავალდებულო, კლინიკური სავალდებულო, კლინიკური უნარების სავალდებულო, სამეცნიერო კვლევის უნარების სავალდებულო კურსები) და სპეციალობის არჩევითი კურსები. გარდა ამისა, არის საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი კურსები, რაც შეიძლება წარმოადგენდეს დამატებითი კრედიტების მიზეზს (365 კრედიტი 360-ის ნაცვლად).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურიკულუმი კონფიგურირებულია აკადემიური და კლინიკური პროგრესიის დემონსტრირებისათვის, რომელიც დაშენებულია წინა აკადემიური წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნასა და უნარებზე და ემსახურება სამედიცინო საქმიანობისა და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭირო კომპეტენციების აუცილებლად მიღწევას. პროგრამა მიზნად ისახავს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის შესაძლებლობების, ისევე როგორც კრიტიკული აზროვნების განვითარებას სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზით. საერთაშორისო ექსპერტი, პროფესორი პიტერ ლიდიარდი ეხმარებოდა მედიცინის ფაკულტეტს ცოდნის ინტეგრაციისთვის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის შემუშავებაში, რათა განევითარებინა დამოუკიდებელი სწავლა და გუნდური მუშაობა. კლინიკური სავალდებულო კურსები მოიცავს საჯარო ჯანმრთელობის სისტემებს, ხოლო არჩევით კომპონენტები შექმნილია პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მათი დაინტერესების წასახალისებლად მედიცინის სხვადასხვა სფეროების შემდგომ შესწავლაში. სტუდენტებს, ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.

პაციენტებთან შეხვედრამდე სტუდენტები თავდაპირველად იძენენ თავიანთ უნარებს კლინიკურ ლაბორატორიებში. სიმულაციურ პირობებში სწავლა და სწავლება წარმოებს სიმულატორებას და მულაჟებზე, ექიმი-პქციენტის როლის თამაშში ჩართვის მეშვეობით. რაც შეეხება კლინიკურ პრაქტიკას, სწავლა და სწავლება მიმდინარეობს სვადმყოფის საწოლთან, კლინიკებში, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების სემინარებზე, საოპერაციობში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ, ასევე, ოპერაციებში ასისტირება. კლინიკური განთავსების ხანგრძლივობისა და მიზანშეწონილობის უზრუნველსაყოფად კსუ-მ ხელი მოაწერა თანამშრომლობის სხვადასხვა მემორანდუმს თბილისში სხვადასხვა მულტიდისციპლინარული კლინიკებით (არსებობს გეგმები კსუ-ს საკუთარი კლინიკის დაარსებისათვის). არსებობს სავალდებულო სწავლა კლინიკებში და სამორიგეო მომსახურება, რომელზეც სტუდენტები ბრუნავენ კლინიკური სპეციალობების გარშემო. კლინიკებში ტუტორთა უმეტესობა წარმოადგენენ კსუ-ს აკადემიურო პერსონალის წევრებს. ქართულ კულტურაში ინტეგრირების ხელშესაწყობად, უცხოელი სტუდენტებს ეძლევად სავალდებულო კურსები ქართულად, რომლებიც ეხმარება მათ კლინიკურ ნაწილში პაციენტებთან და მრავალ-პროფესიულ კლინიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციაში.

ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული შეფასების მეთოდები, მათ შორის მრავალპასუხიან ტესტები, რომლებიც ადმინისტრირდება ონ-ლაინ ფორმატში. ამჟამად, კლინიკური უნარების შეფასება ხდება კლინიკაში, მაგრამ კსუ იღებს ზომებს ცოდნის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დასანერგად და უნარების პროგრესიისა და კომპეტენციისათვის სტანდარტიზებული პაციენტების და მოლაჟების (სიმულატორების) გამოყენებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დიპლომირებული მედიკოსის (ენგლისურენოვანი) პროგრამაზე კსუ ცდილობს უცხოელ სტუდენტთა მოზიდვას ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინდოეთი, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. საქართველოში მოქმედი ყველა სამედიცინო პროგრამის მსგავსად, კსუ პროგრესირებს განახლებული სამედიცინო სექტორის მახასიათებლებისადმი სრული შესაბამისობის მისაღწევად 2019 წლის იანვრისათვის. დისციპლინები (ცოდნა და უნარები) დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურიკულუმის შესაბამისია. ბევრი სფილირებული კლინიკური პროფესორს და აკადემიური პერსონალს აქვს საკუთარი პროფესიული პრაქტიკა კლინიკებში, რომლებთანაც კსუ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმები. რაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით მისულმა ჯგუფმა იხილა, არის ის, რომ არსებობს კარგი სამუშაო ურთიერთობები სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და კლინიკებში განათლების გარე მიმწოდებლებს შორის.

ზრუნვის ერთ-ერთი სფეროა სასწავლო ინფრასტრუქტურა და იმის უზრუნველყოფა, რომ სასწავლო მასალა, ანუ მედიცინის შესწავლაში დახმარე ინფორმირებულ კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის წიგნები და ჟურნალები ხელმისაწვდომია.

ანალოგიურად, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა საჭიროებს უფრო გულდასმით შიდა განხილვას, რადგან ეს არის პროფესიული პროგრამა, რომელშიც გარე დაინტერესებული მხარეები თამაშობენ როლს სტუდენტთა სწავლისა და სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე, განათლების ხარისხსა და შეფასებებზე გამოხმაურების ციკლის შეკვრის საკითხი უნდა იქნას მოგვარებული. ანალოგიურად, სხვა სამედიცინო სკოლების აკადემიური პერსონალის მხრიდან გულდასმით განხილვა (გარე საგამოცდო სისტემა), რომელმაც უნდა უზრუნველყოს კსუ-ს კურსდამთავრებულის ეკვივალენტურობა საქართველოს სხვა სკოლების კურსდამთავრებულებთან. ცოდნასთან, უნარებთან და პროფესიულ ქცევასთა დაკავშირებით.

დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ზრუნავენ, რომ განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობა მოიცავდეს სამედიცინო განათლების სწავლის მეთოდების გამოყენებას, ანუ პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას და შეფასებას, ანუ ობიექტირად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას (OSCE). ამ კუთხით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან მათ მიიღეს დახმარების რჩევა ამ მეთოდების შემუშავებაში და საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრირებაში. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გუნდმა გამოსცადა OSCE შემაჯამებელ შეფასებებში. მათი მხრიდან ამ საკითხისადმი სერიოზულ მიდგომაზე მეტყველებს ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები, ანუ კლინიკურ უნართა ლაბორატორია და ასოცირებული ოთახების რეკონფიგურაცია OSCE შეფასებების განსახორციელებლად. ჯგუფისათვის, ასევე, ნათელი გახდა რომ სამედიცინო ფაკულტეტის დეკანმა და აკადემიურმა პერსონალმა იციან, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა პერსონალის განვითარების, ანუ კოლეგების ტრენინგი სწავლისა და შეფასების მეთოდებში, სასწავლო და შეფასების მასალების მომზადების საკითხებზე.

სტანდარტი 1 მეტწილად შესაბამისობა
სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობა
სტანდარტი 3 მეტწილად შესაბამისობა
სტანდარტი 4 მეტწილად შესაბამისობა
სტანდარტი 5 მეტწილად შესაბამისობა

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1

- სწავლის, სწავლებისა და შეფასების შემდგომი განვითარება და შემდეგ შეტანა სტუდენტთა გამოცდილების გასაღრმავებლად და კლინიკური უნარების კომპეტენციის შესაფასებლად.
- მეტი სიცხადის შეტანა იმაში დასარწმუნებლად, რომ საგნის მახასიათებლები შეფასებული და შესრულებულია.
- ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობა კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისა და შეფასების საგნების ვალიდურობისა და საიმედოობის გაფართოების უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 2

- სტუდენტთა რეკრუტირებისა და შერჩევის გაფართოება მათი სხვა პარამეტრების შეფასებით, რაც გადამწყვეტია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათის, მათ შორის სტუდენტთა ინტერვიუირება, კომპეტენცია ბიოლოგიასა და ქამიაში, წერილობითი განაცხადი იმის აღწერით თუ რატომ სურთ მედიცინის შესწავლა, წინა გამოცდილება და სამომავლო პერსპექტივები.
- უზრუნველყოფა იმისა, რომ კლინიკებში კლინიკური ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებულ მხარისათვის - აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და პროფესიულ კოლეგებს შორის დიალოგისა და გამოხმაურების თვალსაზრისით.
- სამედიცინო განათლებაში ინოვაციური სწავლისა და შეფასების მეთოდების შემოღებაზე მუშაობის გაგრძელება.
- კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელი შეფასების, ანუ OSCE შემოღებაზე მუშაობის გაგრძელება.
- უზრუნველყოფა ნებისმიერი ონლაინ საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობისა, რომელიც რეკომენდირებულია სტუდენტებისთვის
- ცოდნისა და უნარების შესწავლისა და გამოყენებისათვის საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებათა საგნების ინტეგრაციის გაზრდა

სტანდარტი 3

- საერთაშორისო პარტნიორობის შემდგომი გამოკვლევა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენყა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, ბიზნეს გეგმით რესურსებისათვის ინტერნაციონალიზაციის სიმდგრადისათვის.

სტანდარტი 4

- საერთაშორისო პროფესურის მოსაზიდად აფილირებულ კოლეგებად შესაძლო სტრატეგიების გამოკვლევა კსუ-ს რეპუტაციის ასამაღლებლად და საერთაშორისო თამაშრომლობის შემდგომი ხელშეწყობა
- სამედიცინო განათლების ექსპერტთა ჯგუფის გასაფართოებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მუშაობის გაგრძელება, რათა მიიღოთ რჩევები პროგრამის განვითარებაზე სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და შეფასებისმტოდების საკითხებზე. ეს დაეხმარება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განახლებულ სამედიცინო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

- ბიბლიოთეკის ფონდის მიმოხილვა სახელმძღვანელოებსა და ჟურნალებზე ონლაინ ხელმისაწვდომობისათვის
- მომგებიანობის ანალიზი ხორციელდება ფინანსური მენეჯმენტისა და ანგარიშების გამჭვირვალობის დემონსტრირებისთვის და ანგარიშებისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად ფაკულტეტის დონეზე.

სტანდარტი 5

- მეტი სიცხადე შიდა ხარისხის სისტემაში და რეგულაციები თუ როგორ იქნეს გამოყენებული სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული გამოხმაურებები აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად.
- შემდგომი განვითარება გზებისა, რომლითაც სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის მონაცემები და შედეგები (გამოხმაურების საფუძველზე შეტანილი ცვლილებები) გაუზიარდებათ პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს , ანუ ჩაკეტავს გამოხმაურების წრეს.
- შეფასება იმისა, თუ გარე მიმომხილველთა (მაგალითად დამსაქმებლების) გამოხმაურების შედეგები როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტანდარტი 1

- აკადემიური პერსონალის მოძიება და რეკრუტირება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან გარე გამომცდელებად, რათა გამოხატონ მოსაზრება სამედიცინო პროგრამის შედეგების და სტუდენტთა შეფასებების ეკვივალენტურობაზე მათ აკადემიურ და კლინიკურ კომპეტენციასთან დაკავშირებით, პროგრამის ყოველი წლისათის.

სტანდარტი 2

- მისცეს მეტ კოლეგას შესაძლებლობა, შეხვდნენ მედიცინის პედაგოგებს კონფერენციებზე კარგი პრაქტიკის გაზიარების მიზნით
- გაიზარდოს კოლეგების რაოდენობა სამედიცინო განათლების მეთოდებში გამოცდილების მისაღებად
- გაიზარდოს მეორე შემფასებელთა გამოყენება ნიშნების მოდერაციისათვის თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 4

- მეტ OSCE გამომცდელთა მოზიდვა და ტრენინგი უაღრესად რეკომენდებულია მათი ადექვატური რაოდენობის უზრუნველსაყოფად OSCE-ის შემაჯამებელი შეფასების დროს გამოსაყენებლად.

- სამედიცინო ფაკულტეტის სასწავლო რესურსების გაზრდა, რესურსების შერჩევისა და განთავსების გამჭვირვალე სისტემით

სტანდარტი 5

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გარე გამომცდელთა პოზიციაზე ყოფნის ხანგრძლივობის განსაზღვრა და შეთანხმება
- გარე ექსპერტთა და მიმომხილველთა (ეროვნული და საერთაშორისო) რაოდენობის გაზრდა გაფართოებულ საქმიანობაში დასახმარებლად
- ახალ გეგმებში მკაფიოდ შემუშავება თუ როგორ იქნებიან გარე გამომცდელები რეკრუტირებული და გამოყენებული გაუმჯობესებულ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სტანდარტი 2:

- მკაფიო და მემორანდუმი შეთანხმებისა კლინიკური სწავლის გარე მიმწიდებლებთან

სტანდარტი 4:

- დეკანი და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანრლი გუნდი უნდა ითვალისწინებდეს სამედიცინო განათლების ექსპერტების მოძიებას პროგრამის განვითარებაზე რჩევების მისაღებად
- სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სტუდებტთათვის და პერსონალისათვის უნივერსიტეტის კამპუსში და დისტანციურადაც.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- თანამშრომლობა გარე ექსპერტებთან მედიცინის სწავლისა და სწავლების ახალი მეთოდების შემოსაღებად
- კლინიკური უნარების ცენტრის ფორმირება და OSCE-ს, როგორც შემაჯამებელი შეფასების მეთოდის საცდელი გამოყენება
- ფაკულტეტის განვითარების საჭიროება ცნობილია და ზომები ტარდება ახალი მეთოდოლოგიების მისაწოდებლად.
- გაცნობიერება და შედეგად ცვლილებების გატარება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის საბაზისო და კლინიკურ მენიერებათა ინტერგაციის მიზნით

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით მოქმედი სტუმარი გუნდი დარწმუნდა, რომ კსუ-ის ყველა დონეზე ენთუზიაზმი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისურენოვანი) წარმატების თაობაზე გამოიხატება პოზიტიური ურთიერთობით სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. დეკანს და

პროგრამის ხელმძღვანელს ნათლად აქვთ გაცნობიერებული ფაკულტეტის განვითარების საჭიროება მედიცინის განახლებულ სექტორულ მახასიათებლებთან შესაბამისობისათვის და ძალიან აქტიურები არიან იმის უზრუნველსაყოფად, რომ პერსონალმა და სტუდენტებმა მიიღონ საუკეთესო გამოცდილება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამები დაიწყო 2013 წელს და სამედიცინო პროფილის სტუდენტების პირველ ნაკადს გამოუშვებს 2019 წელს. როგორც ახალი სამედიცინო პროგრამა ამ კერძო უნივერსიტეტისათვის, იგი რელევანტურია და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ვიზიტად მყოფი ჯგუფი დარწმუნდა იმაში, რომ კურიკულუმი შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აკრედიტაციის სტანდარტებს. ჯგუფი, ასევე, დარწმუნდა, რომ დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მუშაობენ საქათველოს სამედიცინო სფეროს ახალ ეროვნულ სექტორულ მახასიათებლებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანაზე. სამედიცინო ფაკულტეტმა გულდასმით მიიღო რჩევები როგორც საქართველოში მოღვაწე განათლების სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტებისგან, ისე გაერთიანებული სამეფოს გარე კონსულტანტებისგან. კერძოდ, სკაიპით პროფესორ პიტერ ლიდიართან კონტაქტში, ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე შემუშავებულ იქნა ერთობლივად თანამედროვე სწავლის მეთოდები, როგორებიცაა შემთხვევაზე დაფუძნებული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. კსუ-მა მისი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა დაუკავშირა მედიცინის განახლებულ სექტორულ მახასიათებლებს და მიზნად დაისახა სრული შესაბამისობის მიღწევა 2019 წლის იანვრისათვის. ეს გულისხმობს სამედიცინო პროგრამის სრულ ინტეგრაციას. მართალია, უნივერსიტეტმა მიიღო რეკომენდაციები საერთაშორისო ექსპერტებისგან და საქართველოს სხვა სამედიცინო სკოლებიდან, როგორც ჩანს, არ არსებობს გარე შესწავლის სისტემა, რომლითაც სხვა სამედიცინო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები შეაფასებდნენ პროგრამას შინაარსის, შეფასებისა და სტუდენტთა პროგრესის თვალსაზრისით, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეს სფერო საჭიროებს განვითარებას. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურიკულუმთან დაკავშირებით, სიღრმისა და მოცულობის კუთხით, სწავლის საათები დაკავშირებულია ECTS სისტემასთან, ხოლო

მიზანი რეალისტურიაცაა და მიღწევადიც 6 წლის (12 სემესტრის) განმავლობაში. სამედიცინო პროგრამის კურიკულუმი საჯაროდ ხელმისაწვდომია კსუ-ს ვებ-საიტზე და აქვეა დეტალური ინფორმაცია სწავლის მენეჯმენტის სისტემაზე სტუდენტთა და აკადემიური პერსონალისათვის. როგორც პროფესიული პროგრამა, რომელშიც ტუტორებია არიან არა მარტო კსუ-ს კამპუსში, არამედ კლინიკებშიც, ინფორმაციის მიმოცვლა არის არსებითი და ეს ხდება რიგი არხების მეშვეობით, მაგალითად, ელ-ფოსტით, ჯგუფების რეგულარული შეხვედრებით და სადისკუსიო ფორუმებით. მიუხედავად იმისა, რომ დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი გუნდი განიხილავს შედეგებს საქართველოს შრომის ბაზრისათვის, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისური) სტუდენტები მოზიდულებია არიან უცხოეთიდან. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი იყო, თუ რატომ გახდა 2019 წელი ამ პროგრამის კურსდამთავრებულთათვის დანიშნულების წერტილად, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ბევრი მათგანი დაბრუნდება თავის მშობლიურ ქვეყანაში. ამ საკითხებზე მსჯელობით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შესაძლებელი გახადა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აღიარების მიღწევა სხვა ქვეყნების სამედიცინო საბჭოების მიერ, რათა ნება დაერთოთ კურსდამთავრებულებისათვის ეროვნული სალიცენზიო გამოცდის ჩაბარება. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისური) სტუდენტები უმთავრესად რეკრუტირებულნი არიან სხვა ქვეყნებიდან, როგორებიცაა ინდოეთი, ნიგერია და ზოგიერთი ახლო აღმოსავლეთის ქვეყანა. შესაბამისად, მათ მიეწოდებათ ქართული ენის კურსები რათა დახმარება აღმოუჩინონ ინტეგრაციაში თანაკურსელებთან, პაციენტებთან, კლინიკის პერსონალთან და ყოველდღიურ ცხოვრებაში. კლინიკურ ტუტორებთან დისკუსიაში გამოვლინდა, რომ ბევრი მათგანი ორენოვანია, რაც თარგმნის საშუალებას აძლევს კლინიკურ გარემოში კომუნიკაციისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურ ენაზე) • უნივერსიტეტის მისია; უნივერსიტეტის 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; • უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმა; • ინგლისურენოვანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრის მოტხოვნების ანალიზი; • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
რეკომენდაციები • ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობა კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისა და შეფასების საგნების ვალიდურობისა და საიმედოობის გაფართოების უზრუნველსაყოფად:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

1,2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-მა მოინდომა და მიიღო რჩევები ურიკულუმის ეროვნული და საერთაშორისო მრჩევლებისაგან გაერთიანებული სამეფოდან, რომლებმაც ითამაშეს აქტიური როლი ფაკულტეტის განვითარებაში და ასევე, პროგრამის შემუშავების მრჩეველთა საბჭოს წევრების როლში. კსუ-ში მოწვეული პერსონალიდა ზოგიერთს, ასევე, აქვს კონტაქტები თბილისის სხვა სამედიცინო სკოლებთან, ისე რომ, ადგილი აქვს სტანდარტების არაფორმალურ შედარებას. თუმცა, არ ჩანს ფორმალური გარე შეფასების პროცესი კსუ-ს სამედიცინო კურსდამთავრებულთა ეკვივალენტობის უზრუნველსაყოფად მათ კოლეგებთან სხვა ქართული სამედიცინო სკოლებიდან. გადამწყვეტი ფაქტორი იქნება სამედიცინო კურსდამთავრებულთა შედეგები ეროვნულ გამოცდებზე. სწავლის შედეგების შესამოწმებლად მათ მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდები შეესაბამება კურიკულუმს. ფაკულტეტისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა შეფასებისათვის გამოეყენებიათ მეტი ჩვეულებრივი საგამოცდო მონახაზი (რომელშიც კითხვები ასახავს სწავლის შედეგებს). კიდევ ერთ განსავითარებელ სფეროს, ისევე როგორც საქართველოს სხვა სამედიცინო სკოლებში, წარმოადგენს კრიტერიუმების მითითების მეთოდების გამოყენება (სტანდარტის დაწესება) კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასებისათვის. გამოსადეგი იქნებოდა იმის შესახებ მეტის მოსმენა, თუ როგორაა აკადემიური პერსონალი მომზადებული სტუდენტების ნამუშევრების შეფასებისათვის და ასევე, შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თაობაზე. მედიცინის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები შემოწმდება სწავლისათვის საჭირო სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია კურიკულრმის დოკუმენტებში. პროგრამის შედგენის გზა ნიშნავს იმას, რომ აკადემიური პროგრესია დადასტურებულია ცოდნისა და უნარების სირთულის თვალსაზრისით სტუდენტის სწავლის მსვლელობაში. ეს შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და მდიცინის სექტორულ მახასიათებლებთან. ვინაიდან დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისური) მოიზიდავს მეტწილად უცხოელ სტუდენტებს, მოსალოდნელია რომ სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტები სავარაუდოდ უფრო დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში სამუშაოდ, ვიდრე შეუერთდებიან საქართველოს მუშახელს. აქედან გამომდინარე, ვიზიტორთა გუნდი არ მიიჩნევს, რომ საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნები მნიშვნელოვანი საკითხია ამ პროგრამისათვის.

აკადემიური პერსონალს, მოწვეულ პერსონალსა და აფილირებულ კოლეგებს შორის კომუნიკაცია (კამპუსსა და კლინიკებში) ხორციელდება რეგულარული შეხვედრებისა და ელ-ფოსტის საშუალებით და რეგულარული ვიზიტებით კლინიკებში. აშკარაა, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და მისი კურსები მოწმდება რეგულარულად და ინფორმაცია განვითარების თაობაზე აღმოცენდა კოლეგებთან სტუდენტებთან დისკუსიების შედეგად, ისევე, როგორც სტუდენტთა სწავლის შედეგების (მიღებული შეფასებების) გამო. კლინიკებში არიან კლინიკური ადმინისტრატორები, რომელთა როლი მდგომარეობს პროგრამის კლინიკური ნაწილის კოორდინირებაში და ტუტორები, რომლებიც იმავდროულად არიან კსუს აფილირებული პროფესორები . გაურკვევლობა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელობა როგორ უზრუნველყოფს ყველა საგნის მახასიათებლების ასახვას კურიკულუმში. ამიტომ, ეს საკითხი მოითხოვს მეტ სიცხადეს. რაც აშკარა იყო, რომ პროგრამაში სტუდენტები შეფასებას ექვემდებარებიან რეგულარულად, ასე რომ, გუნდი აცნობიერებს, რომ საგნების მახასიათებლებთან დაკავშირებული სწავლის შედეგები სავარაუდოდ დაკმაყოფილებულია, თუმცა ამაში დასარწმუნებლად მეტი ახსნაა საჭირო. რადგანაც კსუ შედარებით პატარა ინსტიტუციაა, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტებმა თავიანთი პრობლემები დააყენონ დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელისა და რექტორის წინაშე. ანალოგიურად, სტუდენტთა ხმა ისმის ისეთი არების მეშვეობით, როგორებიცაა სტუდენტთა გამოკითხვები და წარმომადგენლობა ფაკულტეტის საბჭოში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • ინგლისურენოვანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (იხილე პროგრამაში); • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის შედეგების ანალიზი; • პროგრამის მოდეფიკაციაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დოკუმენტი; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ დონეზე პროგრესიის ინდიკატორი; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; • სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
რეკომენდაციები: • სწავლის, სწავლებისა და შეფასების შემდგომი განვითარება და შემდეგ შეტანა მოსწავლეთა გამოცდილების გასაღრმავებლად და კლინიკური უნარების კომპეტენციის შესაფასებლად. • მეტი სიცხადის შეტანა იმაში დასარწმუნებლად, რომ საგნის მახასიათებლები შეფასებული და შესრულებულია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • აკადემიური პერსონალის მოძიება და რეკრუტირება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან გარე გამომცდელებად, რათა გამოხატონ მოსაზრება სამედიცინო პროგრამის შედეგების და სტუდენტთა შეფასებების

ეკვივალენტურობაზე მათ აკადემიურ და კლინიკურ კომპეტენციასთან დაკავშირებით, პროგრამის ყოველი წლისათის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐მ ე ტწ ი ლ ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაში დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტები ზოგადად რეკრუტირებულნი არიან საზღვარგარეთიდან, ძირითადად ინდოეთიდან, ტანზანიიდან და ნიგერიიდან, ასევე, ზოგიერთი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნიდან. შერჩევის პროცესი მოიცავს სერტიფიცირებას ინგლისური ენის კომპეტენციაში (B2 დონე) და მათი ადგილობრივი ეროვნული გამოცდების შედეგებს (ბიოლოგიისა და ქიმიის მითითებით). კსუ-ს სპეციალურად დაქირავებული ჰყავს 20-მდე აგენტი სამედიცინო სტუდენტთა შერჩევა-რეკრუტირებისათვის. საქართველოს განათლების სამინისტრო თამშობს მის როლს მიღების პროცესში, რაც გულისხმობს საშუალო განათლების დამამთავრებელი დიპლომის აუცილებლობას. ამჟამად, აპლიკანტებს არ უტარდებათ გასაუბრება, თუმცა დაგეგმილია ამ წესის შემოღება სამომავლოდ. ჩარიცხვის კრიტერიუმების განხილვის შემდეგ, ვიზიტორთა გუნდს ჩამოუყალიბდა თვალსაზრისი, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს სტუდენტების დაინტერესებაზე მეცნიერებების მიმართ, როგორიცაა, ბიოლოგია და ქიმია. ამდენად, მედიცინის პროგრამის გუნდს მიეცა რეკომენდაცია, რათა გამოიყენოს დამატებითი კრიტერიუმები სამედიცინო სტუდენტთა რეკრუტირებისა და შერჩევისთვის, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წარმატებას

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე შერჩევის და ჩარიცხვის ინფორმაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. არსებობს სხვა აქტივობებიც პროგრამის რეკლამირებისათვის სტუდენტთა რეკრუტირების გამოფენებზე და მიზნობრივი პრეზენტაციები სკოლებში. ჩვენი დისკუსიები სწავლის სხვადასხვა ეტაპის სტუდენტებთან გვავარაუდებინა, რომ კსუ-ს სამედიცინო პროგრამაში სუფევს მეგობრული ატმოსფერო და მეგობრებისაგან მიღებული რჩევები წარმოადგენს ამ უნივერსიტეტში ჩაბარების მიზეზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- ინგლისურენოვანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა.
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- უნივერსიტეტის ვებ-საიტზე www.ciu.edu.ge უცხოელ სტუდენტთათვის განთავსებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

- სტუდენტთა რეკრუტირებისა და შერჩევის გაფართოება მათი სხვა პარამეტრების შეფასებით, რაც გადამწყვეტია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათის, მათ შორის სტუდენტთა ინტერვიუირება, კომპეტენცია ბიოლოგიასა და ქამიაში, წერილობითი განაცხადი იმის აღწერით თუ რატომ სურთ მედიცინის შესწავლა, წინა გამოცდილება და სამომავლო პერსპექტივები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის

აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ

☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს მედიცინის პროგრამა, რომელიც ხორციელდება ინგლისურ ენაზე იყენებს ბოლონიის ECTS- ის საკრედიტო სისტემას და კსუ-ს პროგრამების დიზაინისა და შემუშავების პროცესს, სტუდენტთა რეკრუტირების პირობებით, რომლებიც მიესადაგება მიღების კრიტერიუმების შემადგენელი მინიმალური სტანდარტების მიღწევას. სამედიცინო პროგრამა ეფუძნება ECTS სისტემას და შედგება 365 კრედიტისგან, რომელთაგანაც 330 კრედიტი სავალდებულოა და 30 კრედიტი არჩევითი. მედიცინის პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ფარგლებში კურსების შინაარსი ეფუძნება მედიცინის სექტორულ მახასიათებლებს, ხოლო სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციას. პროგრამის ფარგლებში პირველი სემესტრიდან არსებობს მეცნიერების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და კლინიკური პრაქტიკის ინტეგრაციის გარკვეული დონე და პროგრამის გუნდი ცდილობს მის უფრო მეტად გაღრმავებას. საბაზისო მეცნიერებებისა და კლინიკური ცოდნის ინტეგრაცია მიიღწევა ტუტორებისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობით, სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფით შესაბამისი თემებით ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში, ანატომიაში, ჰისტოლოგიაში და ფსიქოლოგიაში და მათი დაკავშირებით და გამოყენებით კლინიკურ შემთხვევებში. შესაბამისად, ამის ხელშესაწყობად გამოვლენილია სწავლისა და სწავლების მეთოდების გამოყენება, მათ შორის:

- ლექცია,
- პრაქტიკული სესიები
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლის ინტეგრირება, სადაც მათ დაიწყეს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის გამოყენება
- სასწავლო კრედიტების აღიარება კლინიკურ პრაქტიკაში
- ანატომია - 3D მოდელები და ფანტომი, მოდელები
- ჰისტოლოგიის სწავლა მიკროსკოპის გამოყენებით.
- ზეპირი პრეზენტაციებიზეპირი პრეზენტაციები

სამედიცინო პროგრამა ატარებს მკაცრ შემოწმებას სტუდენტთა დასწრებაზე, როგორც უნივერსიტეტის კამპუსზე, ასევე პარტნიორი პროვაიდერების კლინიკებში კლინიკურ

სწავლებაზე. კსუ-ს აქვს კვლევითი აქტივობები და სადაც შესაბამისია, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებს აქვთ მათში ჩართვის შესაძლებლობა. ეს მიიღწევა შიდა გრანტების გაცემით პროფესორების მიერ, რომლებსაც მოპოვებული აქვთ გარე დაფინანსება. ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი აქვს პროექტების თანადაფინანსებას თანხვედრი ფინანსირების მეშვეობით. კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტები შეირჩევიან მენტორების მიერ; პროფესორების მიერ შერჩევა ხდება ინდივიდუალურად და არსებობს ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვის შესაძლებლობა. კვლევის კულტურიდან გამომდინარე, არსებობს მტკიცებულება, როგორც კსუ-ში ისე ლიტერატურიდან, რომ კვლევის შედეგები ინერგება კურიკულუმში. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში , კვლევითი უნარები ისწავლება როგორ კრედიტების მომტანი კურსები, მაგალითად, აკადემიური წერა, კვლევითი უნარების არჩევითი კურსი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინა. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ წარადგინონ პრეზენტაციები კონფერენციებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის და გაუმჯობესების მეთოდოლოგია, ინგლისურენოვანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები; • პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • მისცეს მეტ კოლეგას შესაძლებლობა, შეხვდნენ მედიცინის პედაგოგებს კონფერენციებზე კარგი პრაქტიკის გაზიარების მიზნით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ X მოთხოვნებს შეესაბამება ☐მ ე ტწ ი ლ ბ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ნ ა წ ი ლ ობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზიდან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიებიდან გამომდინარე, პროგრამის შემადგენელ კურსებს აქვთ შესაბამისი და სათანადო სწავლის მიზნები და მათი ტესტირება ხდება სწავლის შედეგების მიხედვით. პროგრამაში სტუდენტთა პროგესთან ერთად კურსების დონე და სირთულე იზრდება და აჩვენებს შესაბამისობას ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. შესაბამისი კურსებისათვის მინიჭებული კრედიტები აისახება სწავლების საკონტაქტო საათებში და პირადი მიმართვის მოლოდინებში და დამოუკიდებელ სწავლაში. როგორც ყველა სამედიცინო პროგრამაში, კლინიკური პრაქტიკის საათების რაოდენობა თითოეული ECTS კრედიტისათვის მეტია შედარებით დიდაქტიკური მიდგომისა სწავლისადმი. ჩვენ გვაცნობეს, რომ სწავლის შედეგები ასახულია შეფასებებში, და ამრიგად დავასკვენით, რომ წარმოდგენილი კურსის შიდა შეფასებებისა და კურსის დამასრულებელი გამოცდების კომბინირებით - სწავლის ყველა შედეგი შეფასებულია. კსუ-ს პროგრამის გუნდი ნერგავს სამედიცინო განათლების მეთოდებს კურიკულუმში და ეს მისასალმებელია. კოლეგებს კსუ-დან გათვითნობიერებული აქვთ, რომ ამისათვის საჭიროა ფაკულტეტის საგრძნობი განვითარება, ანუ ტრენინგი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ხელშეწყობისა და ქეისების შემუშავებისათვის, OSCE გამომცდელთა ტრენინგი, და კითხვების შედგენის შეფასება (ერთადერთი საუკეთესო პასუხის მქონე კითხვების სედგენა). ამ კუთხით რეკომენდაციას მივცემდით კსუ-ს რომ გააფართოვოს ექსპერტთა რაოდენობა ვისთანაც ითანამშრომლებენ ამ მეთოდებში გამოცდილების შესაძენად. ანალოგიურად, განმავითარებელი მუშაობის გაგრძელება, კოლეგებისათვის კონფერენციებზე სამედიცინო სფეროს პედაგოგებთან შეხვედრის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით. გიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მენეჯმენტის სისტემაში. საბიბლიოთეკო რესურსების მეშვეობით, სტუდენტებს აქვთ წვდომა სასწავლო მასალებთან (წიგნები, ჟურნალები, მონაცემთა ბაზები), მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. საბიბლიოთეკო ფუნდის და ბაზების განახლება ხდება აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების შედეგად. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს ტრენინგებს ლექტორებისათვის მონაცემთა ბაზებით სარგებლობის თაობაზე. მართალია, ამ მონაცემთა ბაზების მეშვეობით შესაძლებელია უახლესი სამედიცინო ლიტერატურის მოძიება, ზოგიერთი ჟურნალის სტატიები ამ საიტებზე არაა უფასოდ ხელმისაწვდომი. ამიტომ, აკადემიური პერსონალი უნდა დარწმუნდეს, რომ მათ მიერ რეკომენდებული საკითხავი მასალა ხელმისაწვდომია და არ გამოიწვევს სტუდენტთა მხრიდან უკმაყოფილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- ინგლისურენოვანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები;
- სილაბუსებში მითითებული ნაბეჭდი, ელექტრონული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა;
- კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა და პროფესორთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- კოლეგების რაოდენობა გაზრდა სამედიცინო განათლების მეთოდებში გამოცდილების მისაღებად,
- უზრუნველყოფა ნებისმიერი ონლაინ საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობისა, რომელიც რეკომენდირებულია სტუდენტებისთვის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- კოლეგებს აქვთ შესაძლებლობა ითანამშრომლონ სამედიცინო სფეროს პედაგოგებთან კონფერენციებზე დასწრებითა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ

☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს პროგრამის გუნდის მიერ აღიარებულია, რომ მათთვის ვისაც სურს ექიმობა, მედიცინას, როგორც დისციპლინას, გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ელემენტები. ასე, სამედიცინოს სტუდენტები საჭიროებენ სწავლასა და გამოცდების პრაქტიკულ უნარებში, კლინიკურ პროცედურებისა და კლინიკურ კომუნიკაციაში ტრენინგს. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ინფრასტრუქტურა კარგადაა აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორიებით კსუ-ს კამპუსში და კლინიკური ლაბორატორიებით სარგებლობის ხელმისაწვდომობით პარტნიორ კლინიკებში.

მემორანდუმ-შეთანხმებებში ბევრ კლინიკასთან, რომლებიც იღებენ მათ სტუდენტებს კლინიკურ სწავლებაზე, მოცემულია კლინიკური სწავლებისა და სწავლის მოლოდინების დეტალები. ბევრი კლინიკური ტუტორი კსუ-ს აფილირებულია პროფესორია, ამდენად კამპუსზე დაფუძნებულ და კლინიკაზე დაფუძნებულ აკადემიურ პერსონალს შორის მკაფიოდ კარგი სამუშაო ურთიერობებია. სტუდენტები ეხმაურებიან სასწავლო გამოცდილებას გამოკითხვების მეშვეობით და ამ კითხვარების შევსება სავალდებულოა. ანალოგიურად, თუ რაიმე პრობლემაა სასწავლო გარემოში, არსებობს სიტყვიერი გამოხმაურების მიღებია შესაძლებლობა. რაიმე პრობლემის შემთხვევაში კლინიკებში სტუდენტებს შეუძლიათ მსჯელობა იქონიონ კლინიკის კოორდინატორთან. ეს არის ახალი პროგრამა, ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ ამ მექანიზმებს სჭირდება დრო სრულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად. კლინიკური უნარები ისწავლება უნივერსიტეტის კამპუსში, და პრაქტიკაში აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ კლინიკებში და როდესაც სტუდენტები ავლენენ უნარებს, მათ შესრულებას დაუყოვნებლივ ეძლევა გამოხმაურება. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით სწავლის შედეგების მიღწევა. მედიკოს სტუდენტებს ასწავლიან სამეცნიერო კვლევის უნარებს (12 კრედიტი), რომელიც მოიცავს მონაცემთა ანალიზს, კრიტიკულ აზრივნებას და კვლევით მეთოდებში მონაცემთა დამუშავებას (ექსპერიმენტული, სტატისტიკური). მათ, ასევე, ასწავლიან მეცნიერულ წერას და კვლევის ეთიკის მოსაზრებებს. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებსათვის შექმნილია მკვლევარებთან და ჯგუფურ პროექტებში ჩართვის, ასევე, კსუ-ის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრების შესაძლებლობები. კსუ სამართლიანად ამაყობს საკუთარი მიღწევებით და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აღიარებით, ასევე, მიღებული "წარმატებული ქართული ბრენდის" ტიტულით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • კვლევით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები; • სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ინფორმაცია გატარებული აქტივიბების შესახებ; • ჯურნალი "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე"; • სამედიცინო პროფილის ინსტიტუციებთან ხელმოწერილი ხელშეკრულებები და მემორანდუმები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფა იმისა, რომ კლინიკებში კლინიკური ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებულ მხარისათვის - აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და პროფესიულ კოლეგებს შორის დიალოგისა და გამოხმაურების თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მკაფიო და დამახასიათებელი მემორანდუმი შეთანხმებისა კლინიკური სწავლის გარე მომწუდებლებთან

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ

☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით მოწვეულმა გუნდმა შეძლო შეხვედროდა სხვადასხვა აკადემიური პერსონალს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მედიკოსი სტუდენტების სწავლაზე, სწავლებასა და შეფასებაზე. ნათელი იყო, რომ ჩატარდა ბევრი ჯგუფური დისკუსია, სადაც კოლეგები ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა საგნების ინტეგრირებაზე, კონკრეტული მაგალითზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებით. სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიები ასახავს სასწავლო მასალებს. ანატომია ისწავლება საკლასო ოთახში 3D მოდელის, კლინიკური წარმოსახვისა და არაადამიანთა ორგანოების გამოყენებით. მცირე ჯგუფური მუშაობა წარმოებს კლინიკებში, ისევე როგორც კსუ-ს კამპუსში.

სტუდენტები ამპროგრამაზე არ არიან საქართველოდან, მაგრამ მათთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათთვის არ არსებობს არავითარი რეალური პრობლემა კულტურასა და სასწავლო გარემოს კუთხით - ყველა სტუდენტი ვისაც გავესაუბრეთ საქართველოში ცხოვრობს მინიმუმ ერთი წელი. ზოგიერთმა აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა უცხოელ სტუდენტთა ქართულ კულტურაში ინტეგრირების გარკვეული თავდაპირველი პრობლემები და რომ ქართული ენისკურსები დაეხმარა მათ, ისევე, როგორ კომუნიკაცია და სოციალური ურთიერთქმედება ქართველ სტუდენტებთან, კლინიკების პერსონალთან

და პაციენტებთან. კარგი იყო აკადემიური პერსონალის მხრიდან იმის მოსმენა, რომ თავდაპირველი კულტურული პრობლემები, რომლებიც ჰქონდათ სტუდენტებს, დროთა განმავლობაში მოგვარდა. შეუძლებელია შეშფოთების მიზეზი გახდეს იმის მოთხოვნა რომ ყველა ყოველთვის იყოს ბედნიერი, რადგან ეს არაა ნორმალური. ამიტომ, საკმარისია გაიგო პრობლემის შესახებ და ნახო როგორ გვარდება იგი. სტუდენტები აღმოჩნდნენ მხარდამჭერნი მედიცინის სწავლების მეთოდებისა და ნათელი იყო, რომ პროგრამაში სტუდენტთა პროგრესიის შესაბამისად გამოყენებულ მეთოდები განვითარდა. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის მეთოდები დანერგილია, რაც ეხმარება მათ და მათი სწავლის ინდივიდუალურ სტილს. გამოყენებულ მეთოდები მოიცავს: • დიდაქტიკურ და ინტერაქტიულ ლექციებს • ონლაინ სასწავლო რესურსებს • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა შემუშავდა • დისკუსიები და სემინარები • პრაქტიკული მეცადინეობები ბიომეცნიერებებში • მცირე ჯგუფებად მუშაობა ჯგუფური მუშაობის სულისკვეთების გასაჩენად • კლინიკური უნარების სწავლება • თვით-მიმართული მეცადინეობა განსხვავებული კურსები იყენებენ სხვადასხვა სწავლა/სწავლების მეთოდებს, რომელიც შეესაბამება სასწავლო მასალას და სამედიცინო ან მეცნიერულ დისციპლინას. სასწავლო გეგმები მომზადებულია და ასახულია ბენჩმარკის დოკუმენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • ინგლისურენოვანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები;
რეკომენდაციები: • სამედიცინო განათლებაში ინოვაციური სწავლისა და შეფასების მეთოდების შემოღებაზე მუშაობის გაგრძელება. • ცოდნისა და უნარების შესწავლისა და გამოყენებისათვის საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებათა საგნების ინტეგრაციის გაზრდა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

□ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერიუებიდან გაირკვა, რომ არსებობს სასარგებლო დიალოგი სტუდენტებსა და კურსების სწავლასა და შეფასებებში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის, რასაც წვლილი შეაქვს სამედიცინო პროგრამის განვითარებაში. მედიცინის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები მოწმდება სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია კურიკულუმში. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ აკადემიური პროგრესის დემონსტრირება ცოდნასა და უნარების კომპლექსურობაში, რაც ვითარდება სწავლის პროცესში - ეს შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და მედიცინის სექტორულ მახასიათებლებს. სტუდენტთა მიღწევები და პროგრესი იზომება ECTS შეფასების სისტემით და "უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოანგარიშების წესის" მიხედვით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის No. 3 ბრძანება). გამოსადეგი იქნებოდა იმის შესახებ მეტის მოსმენა, თუ როგორაა აკადემიური პერსონალი მომზადებული სტუდენტების ნამუშევრების შეფასებისათვის და ასევე, შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თაობაზე. ანალოგიურად, შეფასების თანმიმდევრულობისათვის, კარგი იქნებოდა საგამოცდო ბილეთების ნახვა (სადაც კითხვები სწავლის შედეგებზეა მიმაგრებული). საქართველოს სამედიცინო სკოლების უმეტესობაში განვითარება ესაჭიროება კრიტერიუმების მითითების მეთოდების გამოყენება სტანდარტების დასაწესებლად კომპეტენციაზე დაფუძნებული შეასებაში. სტუდენტთა მუდმივ შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდების კრიტერიუმები და ხასიათი მოხაზულია კურსზე პასუხისმგებელი პროფესორის მიერ და დამოკიდებულია სწავლის შედეგებსა და შეთანხმებაზე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. სტუდენტებს აფასებენ შუა კურსში სხვადასხვა კომპონენტების მეშვეობით - საკლასო მუშაობით, წერითი დავალებებით, ჯგუფური მუშაობით, ზეპირი პრეზენტაციებით, პრაქტიკული ლაბორატორიეული სამუშაოთი და ტესტებით. სტუდენტთა ნამუშევრის შეფასებაში მეორე შემფასებლის გამოყენება, სადაც შესაძლოა იყოს მიღებული ნიშნის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა და ასევე, არსებობს გამჭვირვალე გასაჩივრების პროცესი, თუ სტუდენტი თვლის რომ მიღებული ნიშანი არაა სამართლიანი. გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტისათვის არსებობს გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის შესაძლებლობა იმავე სემესტრში (გამოცდაზე ჩაჭრიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ). კსუ-ს შესაძლოა ერჩიოს ვადის გადახედვა, რადგან ჩაჭრილი სტუდენტისათვის 5 დღის მიცემა არ უნდა იყოს საკმარისი გამოსწორებისათვის. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და აკადემიურ ჯგუფებსა და სტუდენტებს შორის, მიღებულ ნიშნებზე მათი მოსაზრებების თაობაზე დისკუსიების შედეგად განვითარებული მოვლენები მუდმივი განხილვის ქვეშაა.

გამოყენებულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები; კურსის შიდა შეფასებები მოინიშნება და მას უბრუნდებიან შემდეგ კვირაში. კურსის საბოლოო შეფასებები გადაეცემა ონლაინ გამოცდების ცენტრს ძირითადად ბევრ-პასუხიანი არჩევანის მქონე კითხვების ფორმატში და შეფასების კითხვები ანალიზდება შინაარსის ვალიდურობაზე, ანუ ცუდი კითხვები გამოირიცხება. თავიანთ ნამუშევარზე სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას გამოცდიდან 5 დღის შემდეგ. გარდა ამისა, გამოხმაურება მიეწოდება სტუდენტს ონლაინ პორტალით, ჯგუფური დისკუსიითა და ერთი-ერთზე შეხვედრით აკადემიურ პერსონალთან, რომელზეც შეუძლიათ გასარკვევ საკიტხებზე მსჯელობა.

კლინიკური უნარების შეფასება უმთავრესად ხდება კლინიკაში საქმიანობის დროს, სადაც ხდება მათზე დაკვირვება და გამოხმაურება მათ საქმიანობაზე ხდება დაუყოვნებლივ. კსუ-მ შემოიღო OSCE შეფასებები; პირველი მცდელობა იყო 4-კითხვიანი OSCE პედიატრიაში და ამ საცდელ შეფასებაზე დამნერგავმა გუნდმა მიიღო გამოხმაურება გამომცდელებისაგან. ჩვენი ჯგუფისათვის გასაგებია, რომ ეს სიახლეა და კსუ აღიარებს, რომ მათ ესაჭიროებათ: (ა) მეტი კითხვები და ტესტირების ხანგრძლივობა OSCE შეფასებისათვის, რათა იგი იყოს სანდო და ვალიდური, (ბ) OSCE გამომცდელთა და OSCE კითხვების დამწერთა ტრენინგი. კსუ-ის გუნდი აქტიურია აკადემიური პერსონალის უნარების განვითარებაში, მაგალითად, სამედიცინო განათლების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრებაში და ამისათვის ბიუჯეტიც აქვს გამოყოფილი. ანალოგიურად, კსუ-ს აკადემიური პერსონალი შეფასების საკითხებში თანამშრომლობს კოლეგებთან საქართველოს სხვა სამედიცინო სკოლებიდან. ეს უნდა იქნეს წახალისებული,

ეს არის ახალი პროგრამა, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა აღზარდოს სტუდენტთა კონტინგენტი და კარგია, რომ არსებობს დიალოგის კულტურა სწავლასა და შეფასებაში ჩართულ აკადემიურ ჯგუფში, რასაც წვლილი შეაქვს პროგრამის განვითარებაში. გამოსადეგი იქნებოდა იმის შესახებ მეტის მოსმენა, თუ როგორაა აკადემიური პერსონალი მომზადებული სტუდენტების ნამუშევრების შეფასებისათვის და ასევე, როგორია შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კარგია იმის გაგება, რომ ნიშნის დაწერის პროცესში არსებობს მეორე გამომცდელის ჩართვის მექანიზმი. სტუდენტების შეფასება ხდება კლასში პრაქტიკული და წერითი დავალებებით, ისევე როგორც ზეპირი პრეზენტაციით. სტუდენტები მოელიან შეფასებას ისე, როგორც ეს შემუშავებულია მათი ტურორების მიერ; ამგვარად შეფასების პროცესი გამჭვირვალეა. თუმცა, მეტი სიცხადეა საჭირო გასაჩივრების პროცესთან დაკავშირებით თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი შეფასება არასამართლიანია.

სამედიცინო პროგრამის შემთხვევაში არ ხდება სადისერტაციო ნაშრომების შეფასება და დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

• სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები; • "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოანგარიშების წესი", დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით. • სასწავლო პროცესის რეგულირების წესი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მენეჯმენტის სისტემა "გონი". • შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა (იხილე უნივერსიტეტის სასწავლოპროცესის რეგულირების წესი).
რეკომენდაციები: • კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელი შეფასების, ანუ OSCE შემოღებაზე მუშაობის გაგრძელება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • გაიზარდოს მეორე შემფასებელთა გამოყენება ნიშნების მოდერაციისათვის თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ს გააჩნია კარგად განვითარებული და ფუნქციონირებადი დამხმარე სერვისები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის. მართლაც, ყველა დაინტერესებული მხარე გამოიყურება ბედნიერად, რაც შეიძლება აიხსნას: ა) სტუდენტები და პერსონალი ძალიან ერთგულია თავისი უნივერსიტეტის, ან ბ) კსუ აკეთებს დიდ საქმეს! სტუდენტებისა და პერსონალის მიერ გაწეული დახმარების მაგალითებია: • სოციალურ ღონისძიებებში ხელშეწყობაში აქტიური დახმარება • ტუტორები მზად არიან დაეხმარონ სტუდენტებს როგორ ერთი-ერთზე, ისე ჯგუფებში სტუდენტთა პორტალით კომუნიკაციისა და სწავლების პროცესის მენეჯმენტის მეშვეობით. • ტუტორთა გრაფიკი იხსნება კურსის დაწყებისთანავე. • სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი ნიშნავს იმას, რომ ხდება მათი იდენტიფიცირება და შემდეგ საჭიროა გაცდენილი მეცადინეობის აღდგენა, რათა სტუდენტი არ ჩაიჭრას გამოცდაზე. • პერსონალი და სტუდენტების ესწრებიან კონფერენციებს. • ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში ჩასართველად სტუდენტებს მიეწიდებათ ინფორმაცია. • აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდელი მოიცავს სტუდენტთათვის დახმარების გაწევას. • აკადემიური პერსონალთან სტუდენტთა წვდომის პრობლება მარტივად გვარდება იმიტომ, რომ დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მზად არიან მათი პრობლებების შესახემ სასაუბროდ. უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მათ მიეწოდებათ ქართული ენისა და კულტურის კურსები საზოგადოებაში ინტეგრაციის გასაადვილებლად. მართალია, ზოგიერთი თავიდან აწყდება სირთულეებს, მაგრამ კსუ-ს კულტურა ეხმარება მათ ამ კულტურული საკითხების დაძლევაში. კსუ-ს სურს, რომ გაზარდოს სტუდენტთათვის გაცვლითი შესაძლებლობების შეთავაზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • სასწავლო პროცესის რეგულირების წესი • ფაკულტეტის დებულება; • საგანმანათლებლო პროცესის მენეჯმენტის დეპარტამენტის დებულება; • საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტის დაპარტემენტის დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება; უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მენეჯმენტის

სისტემა "გონი"; • კურსების სილაბუსები; კონსულტაციების გრაფიკი; • დასაქმების ფორუმის ამსახველი მასალები.
რეკომენდაციები: • საერთაშორისო პარტნიორობის შემდგომი გამოკვლევა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, ბიზნეს გეგმით რესურსებისათვის ინტერნაციონალიზაციის სიმდგრადისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *არ ეხება, რადგან ჩვენ მხოლოდ ვაფასებთ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას (ინგლისურ ენაზე)*
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტოტრო სწავლების დებულება; • სამაგისტრო საფეხურის დებულება; • სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა და თანახელმძღვანელთა პირადი საქმეები; • ხელმძღვანელთა და თანახელმძღვანელთა შრომითი ხელშეკრულების ფორმა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐მ ე ტწ ი ლ ბ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ *არ ეხება*

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პერსონალი უვადო კონტრაქტებით შერჩეულია სწავლასა და სწავლებაში, კლინიკურ სპეციალობაში მათი გამოცდილებისა და კვლევითი ინტერესების შესაბამისად, რადგან კსუ-ს ჰყავს მკვლევართა მზარდი საზოგადოება. მოწვეული პერსონალისათის კონტრაქტები ახლდება ყოველ სემესტრში, ხოლო ხელფასები დამოკიდებულია საკონტაქტო საათებზე. მოწვეული პერსონალის რეკრუტირებისა და შერჩევის სისტემა არაა ისე მკაფიოდ განსაზღვრული, როგორც აფილირებული და მუდმივი აკადემიური პერსონალისა. ბუნებრივია, კლინიკურად კვალიფიციურ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აქვს ორმაგი კონტრაქტები - მათ კლინიკასთან და კსუ-თან. აქ არის ფართოდ წარმოდგენილი განსხვავებული სამედიცინო სპეციალობები და ნათელია, რომ ისინი

ჩართულნი არიან სამედიცინო პროგრამის შემუშავებაში. კითხვაზე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ინგლისური) აკადემიური პერსონალის შესატყვისობის შესახებ, წარმოდგენილმა CV-ებმა დაგვარწმუნა მათ კომპეტენტურობაში, თუმცა ზოგიერთი რეზუმე საჭიროებდა განახლებას. მთავარი პრობლემა დიდი რაოდენობით მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით არის მათტან კონტრაქტების დროებითი ხასიათი, რაც მოიცავს პოტენციურ რისკს სამედიცინო პროგრამისათვის, განსაკუთრებით თუ ისინი პასუხისმგებლები არიან მნიშვნელოვან კურსებზე. ამან შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს პროგრამის სიცოცხლისუნარიანობაზე. ამიტომ, რჩევას მივცემდით, რომ ისარგებლონ უფრო დიდი და გამჭვირვალე დატვირთვების მოდელით სხვადასხვა ტიპის პერსონალთან კონტრაქტების გაფორმებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • აფილირებილი, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური პოზიციებისათვის კონკურსის მასალები; • ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სპეციალური კვლევის ფორმები ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის დასადგენად.
რეკომენდაციები: • საერთაშორისო პროფესურის მოსაზიდად აფილირებულ კოლეგებად შესაძლო სტრატეგიების გამოკვლევა კსუ-ს რეპუტაციის ასამაღლებლად და საერთაშორისო თამაშრომლობის შემდგომი ხელშეწყობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • მეტ OSCE გამომცდელთა მოზიდვა და ტრენინგი უაღრესად რეკომენდებულია მათი ადექვატური რაოდენობის უზრუნველსაყოფად OSCE-ის შემაჯამებელი შეფასების დროს გამოსაყენებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
-

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელობა აქტიურობენ სამედიცინო განათლებასა და სწავლაში მათი კომპეტენციისა და შესაძლებლობების განვითარების საკითხებში. ამ კუთხით მათ დაქირავებული ჰყავთ ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტები რჩევების მისაღებად სწავლასა და შეფასებების ტექნიკაზე და ეს ქების ღირსია. წერითი და კლინიკური შეფასებების გარდა, კსუ შეფასებისათვის პორტფოლიოს სისტემის შემუშავების პროცესშია.

არსებობს პერსონალის განვითარების და დაწინაურების სისტემა, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს ფინანსური ჯილდეობამდე, რაც არსებული ფორმატით ოპერირებდა 6 თვის განმავლობაში. ეს მოიცავს: სამეცნიერო ნაშრომების, წიგნების და მონოგრაფიების ავტორობას, კონფერენციებზე დასწრებას და პრეზენტაციას, სამეცნიერო გრანტების მოპოვებას, გაცვლით პროგრამებს და სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტებში და სხვ. ანალოგიურად არის ასევე შესაძლებლობები სხვა დამატებითი ვალდებულებებისათვისაც დაწინაურების თაობაზე გადაწყვეტილება იწყება უნივერსიტეტის საბჭოში წარდგინების გაკეთებით და მიიღება მიღწევების საფუძველზე სწავლების, სტუდენტთა მოსაზრების, კვლევების და კონფერენციებში მონაწილეობის გათვალისწინებით. კონფერენციებზე დასასწრებად პერსონალისათვის ფინანსირება გათვალისწინებულია. კოლეგებთან დისკუსიამ გამოავლინა, რომ სამედიცინო განათლებაში არსებობს ფაკულტეტის განვითარების კულტურა. ექსპერტთა ჯგუფი ხელს შეუწყობს მედიცინის ფაკულტეტს ამ სფეროში მათი უნარების გაფართოებაში, რადგან არსებობს სამედიცინო განათლების საზოგადოება, რომელიც ყოველთვის მზად არის ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წამახალისებელი მექანიზმები.
- პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები (იხილე ზემოთ სტატისტიკურ მონაცემებში);
- აკადემიური პერსონალის აქტივობების შედეგები (სწავლებისა და კვლევის ხარისხი) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა;
- შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის მენეჯმენტში და განვითარებაში;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალზე; საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი (იხილე ზემოთ სტატისტიკურ მონაცემებში);
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამედიცინო ფაკულტეტის ნიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;

რეკომენდაციები: • სამედიცინო განათლების ექსპერტთა ჯგუფის გასაფართოებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მუშაობის გაგრძელება, რათა მიიღოთ რჩევები პროგრამის განვითარებაზე სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და შეფასებისმტოდების საკითხებზე. ეს დაეხმარება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განახლებულ სამედიცინო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • მეტ OSCE გამომცდელთა მოზიდვა და ტრენინგი უაღრესად რეკომენდებულია მათი ადექვატური რაოდენობის უზრუნველსაყოფად OSCE-ის შემაჯამებელი შეფასების დროს გამოსაყენებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • დეკანი და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი გუნდი უნდა ითვალისწინებდეს სამედიცინო განათლების ექსპერტების მოძიებას პროგრამის განვითარებაზე რჩევების მისაღებად
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ

☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნ ა წ ი ლობ რი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ა რ ა რი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

4,3. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურად) სწრაფად განვითარდა და შედარებით პატარა ფაკულტეტი მზადაა სწრაფად უპასუხოს კურიკულუმის მიწოდების ირგვლივ წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას. ეს არ იზღუდება მხოლოდ კსუ-ს კამპუსით, არამედ ეხება კლინიკებსაც, რადგან მათ ჰყავთ კლინიკური კოორდინატორები რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხიან სწავლებას კლინიკურ პირობებში. სტუდენტებს აქვთ სასწავლო მასალებთან ხელმისაწვდომობა, როგორც კამპუსში, ისე მის ფარგლებს გარედანაც. ექსპერტთა ჯგუფს ჩაუტარდა ტური კსუ-ში და დარჩა დიდი შთაბეჭდილების ქვეშ კლინიკური უნარების სიმძლავრეებითა და OSCE-ს ფართოდ დანერგვის გეგმებით. კლინიკური უნარების ლაბორატორები სათანადოდაა აღჭურვილი, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შეიძინონ უნარები კლინიკურ გარემოში მოხვედრამდე და პაციენტებთან კონტაქტის დამყარებამდე. კლინიკური უნარების ცენტრებს გააჩნიათ სიმულატორები და მულაჟები ტექნიკის დასამუშავებლად. სტუდენტებს, ასევე, აქვთ კლინიკური უნარების ლაბორატორიებითა და აუდიტორიებით სარგებლობის უფლება იმ კლინიკებში, სადაც სწავლობენ. გარდა სასწავლო ლაბორატორიებისა ბიომეცნიერებების სესიებისათვის, არსებობს კვლევითი ლაბორატორიებიც ნეირომეცნიერებისა და გამოყენებითი ფიზიოლოგიისა - ლაბორატორიებში ვარირებს "მოძველებული" აღჭურვილობის რაოდენობა. ვინაიდან არსებობს მზარდი საჭიროება ონლაინ სწავლებისა, აქ არის ორი ბიბლიოთეკა, 3 სამკითხველო დარბაზი და 5 კომპიუტერული საკლასო ოთახი, აღჭურვილი შესაბამისი პროგრამებით. შენობაში არის პიფტები, რაც გადაადგილების საშუალებას არ უზრუდავს ფიზიკური ნაკლის მქონე სტუდენტებს.

ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსების მხრივ, უმეტესი მასალებისა ონლაინ ფორმატშია წარმოდგენილი და დისტანციურადაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ბიბლიოთეკის მენეჯმენტი კავშირშია აკადემიურ პერსონალთან ბიბლიოთეკის მარაგების და მონაცემთა ბაზების მიმოხილვის კუთხით. ზოგიერთი წიგნი ფოტოკოპირებულია და ხელმისაწვდომია სათხოვებლად - ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ესენია არაა კოპირებული გამოცემები, თუმცა ეს საკითხი მოითხოვს დაზუსტებას, რათა შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო საავტორო კანონმდებლობასთან. სამედიცინო

ჟურნალები, ძირითადად ონლაინ რეჟიმში, ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზების მეშვეობით. ზოგიერთი ინგლისურაზენაზეა, ხოლო დანარჩენი ქართულ ან რუსულ ენაზე. გაურკვეველი დარჩა რამდენი სამედიცინო ჟურნალია ინგლისურ ენაზე, რადგან მონაცემთა ბაზები არ იძლევა რიგ ჟურნალებში მთლიან სტატიებთან ხელმისაწვდომობის საშუალებას. აღინიშნა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი (წიგნებისა და ჟურნალების ხელმისაწვდომობა) საჭიროა იქნეს გადახედილი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

ჯგუფი აღნიშნავს, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შემოღება არის როგორც შრომატევადი, ისე ძალიან ძვირი წამოწყება ინფრასტრუქტურის, სასწავლო და ადამიანური რესურსებით მხრივ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- სასწავლო აუდიტორიები;
- კლინიკური უნარების ცენტრი;
- ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, იმუნოლოგიის, ბიოლოგიის და ჰისტოლოგიის სასწავლო ლაბორატორიები;
- ნეორომეცნიერებისა და გამოყენებითი ფიზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია;
- კლინიკებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ბიბლიოთეკაში ვიზიტი, ფიზიკური და ტექნიკური რესურსები;
- ტექნიკური დანადგარების შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფომდის ფლობის დოკუმენტი;
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან;
- ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დოკუმენტი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- ბიბლიოთეკის ფონდის მიმოხილვა სახელმძღვანელოებსა და ჟურნალებზე ონლაინ ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სამედიცინო ფაკულტეტის სასწავლო რესურსების გაზრდა, რესურსების შერჩევისა და განთავსების გამჭვირვალე სისტემით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის და პერსონალისათვის უნივერსიტეტის კამპუსში და დისტანციურადაც.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ

☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა გადასახადები და სახელმწიფო გრანტები და ძირითადი წყაროები დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასაფინანსებლად. ფინანსირების სხვა წყაროები წარმოშიბილი კომერციული აქტივობებისაგან, როგორებიცაა შენობისა და ნაგებობების გაქირავება. არ იყო ნათელი თუ როგორ განაწილდა ბიუჯეტი, თუმცა ვებ-საიტიდან დადგინდა, რომ სტუდენტთა გადასახადი დიპლომირებული მედიკოსის)ინგლისური) პროგრამისათვის არის 5.000 აშშ დოლარი აკადემიური წლისათვის. ჯგუფისათვის ძნელი დასადგენი აღმოჩნდა იყო თუ არა სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ფაკულტეტის ძირითადი აქტივობების განსახორციელებლად, როგორც ეს აღწერილია სტრატეგიულ გეგმაში. მიუხედავად იმისა, რომ დეკანს და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას არა აქვთ ავტონომია ბიუჯეტთან მიმართებაში, ჯგუფი დაარწმუნეს, რომ რექტორი და საბჭო დიდსულოვნებას დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისადმი ფინანსების გამოყოფის საკითხში. ფინანსირება, ასევე, გამოიყოფა აკადემიური პერსონალის მოტივაციისათვის, ფინანსური ჯილდოებისა და კვლევებისათვის,ისევე, როგორც პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: • მომგებიანობის ანალიზი ხორციელდება ფინანსური მენეჯმენტისა და ანგარიშების გამჭვირვალობის დემონსტრირებისთვის და ანგარიშებისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად ფაკულტეტის დონეზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი კსუ-ს თვითშეფასების ანგარიში ჯგუფის ვიზიტისათვის იყო დაწერილი, როგორც ერთობლივი წამოწყება აკადემიურ და პროფესიულ კოლეგებს შორის. ჯგუფი შეხვდა კსუ-ს ხელმძღვანელობას და მედიცინის ფაკულტეტს, მათ შორის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის უფროსს და განსხვავებული კატეგორიის აკადემიურ პერსონალს (კლინიკურს და არაკლინიკურს), რომლებიც ასწავლიან მედიკოს სტუდენტებს. სხვადასხვა ინტერვიუდან დაინტერესებულ მხარეებთან დადასტურდა, რომ სტუდენტებს გამოკითხვები უტარდებათ რეგულარულად და ამ კითხვარების შევსება სავალდებულოა. გამოკითხვები გამოიყენება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლად დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და იცავს პრინციპს: "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". ამ გამოკითხვებში სტუდენტთა კმაყოფილება შესწავლილია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურიკულუმში გამოვლენილი რაიმე პრობლემების მიხედვით იმგვარად, რომ სადაც შესაძლოა მასში ცვლილებები იქნეს შტანილი. ამ გამოკითხვების შედეგები მოხსენდება პროგრამის გუნდს და რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამზადებს ახალ კითხვარებს: • პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვადასხვა კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტები შეესაბამისობაშია ECTS კრედიტების სისტემასთან შემდეგი თვალსაზრისით - კრედიტის შესაბამისობა სწავლის საათთან და შედეგად სტუდენტის დატვირთვასთან.

- დამსაქმებლებისათვის - სწავლის შედეგებისა და მათი რელევენტურობის დასადგენად კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობასთან. სამაგიეროდ, პასუხები იძლევა შრომის ბაზრისათვის საჭირო უნარებში პოტენციური ნაკლოვანებების გამოვლენის და გამოსწორების საშუალებას. ბუნებრივია, ეს არ არის ისეთი აუცილებელი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათვის, რომელმაც უნდა დაიცვას ცოდნის, უნარებისა და პროფესიული ქცევის განცხადებული მახასიათებლები.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, როგორც ჩანს, ბევრი კუთხით მტკიცეა, გაურკვეველი რჩება თუ როგორ აისახება აკადემიური საბჭოსათვის წარდგენილ რეკომენდაციებში აკადემიური მოსაზრებები. ასევე, გაუგებარია სტუდენტთა გამოხმაურებაზე რეაგირება როგორ უზიარდება სტუდენტს, ანუ როგორ იკვრება გამოხმაურების წრე. ეს არის სფერო, რომელიც მოითხოვს მეტ სიცხადეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები და ეფექტიანობის მენეჯმენტი";
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროცესის მენეჯმენტის დეპარტამენტის დებულება;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის სპეციალური ფორმა (კითხვები საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და სხვ. შეფასებაზე).
- პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- მეტი სიცხადე შიდა ხარისხის სისტემაში და რეგულაციები თუ როგორ იქნეს გამოყენებული სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული გამოხმაურებები აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად.
- შემდგომი განვითარება გზებისა, რომლითაც სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის მონაცემები და შედეგები (გამოხმაურების საფუძველზე შეტანილი ცვლილებები) გაუზიარდებათ პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს , ანუ ჩაკეტავს გამოხმაურების წრეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ

☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთ ხ ოვ ნ ე ბ თა ნ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნ ა წ ი ლ ობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა შ ი ა მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ თ ა ნ
☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა შ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ თ ა ნ

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს ახალი, 2018 წლის დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება" აღწერს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ აქტივობებს და სეესაბამება საქართველოს კანონებს უმაღლესი განათლების შესახებ, განათლების ხარისხის განვიტარების შესახებ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიულ აქტებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებებს უსდ-ების ავტორიზაციისა და უსდ-ს პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიზნებს იმისათვის, რომ:

- "უზრუნველყოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესესბის მაღალი ხარისხი;
- გააუმჯობესოს სწავლისა და სწავლების ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- სრულყოს სასწავლო პროცესის ხარისხი განათლების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკრებით და გაანალიზებით;
- ასახოს სწავლასა და სამეცნირო კვლევით პროცესების კვლევის შედეგები მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით;
- დანერგოს ხარისხზე კონტროლი ეფექტური ციკლური სისტემა „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ ყველა დონეზე.

ამ რეგულაციების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნდა "ასახავდეს სწავლისა და სამეცნირო კვლევითი პროცესების შესწავლის შედეგებს მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით". ამ რეგულაციებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები არიან აქტიურნი მათ ჩართულობაში სხვადასხვა კონფერენციებში, მაგალითად, კოლეგები დაესწრებიან სამედიცინო განათლების საერთაშორისო კონფერენციას 2018 წლის აგვისტოში ბაზელში. კსუ-ს ასევე მოწვეული ჰყავს გაერთიანებული სამეფოს ექსპერტები. ყველა ეს აქტივობა ღირებულია, მაგრამ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გარე შეფასება საჭიროებს შემდგომ გაფართოებას. ანალოგიურად, კსუ-ს უნდა მიეცეს რჩევა, რომ ნათლად შეიმუშაოს თავის სტრატეგიულ გეგმებში თუ როგორ მიაღწიოს უფრო მეტ სიცხადეს ამ პროცესებში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისური) შედარებით ახალია, ამდენად კსუ-ს აკადემიურ პერსონალს ჰქონდა საშუალება დაეწყო ყველაფრი "სუფთა ფურცლიდან" რათა სეექმნა ინოვაციური კურიკულუმი, რომელიც შესაბამება ეროვნულ სტანდარტებს და სექტორულ მახასიათებლებს. ცოდნისა და უნარების საჭირო კომპეტენციები ცხადია, რომ ადგილზეა და აკადემიური პერსონალი მუშაობს სრული შესაბამისობის მისაღწევად

დათქმული დროისათვის - 2019 წლის იანვარი, სხვა სფეროების განვითარების გათვალისწინებით, მაგალითად, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL). დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სრულად აცნობიერებს ამას და დგამს ნაბიჯებს ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მოსაწვევად, რათა ხელი შეუწყოს პერსონალის განვითარებას. ანალოგიურად, ამის განსახორციელებლად სამედიცინო სკოლების ინფრასტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება; • უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება.

რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • გარე ექსპერტთა და მიმომხილველთა (ეროვნული და საერთაშორისო) რაოდენობის გაზრდა გაფართოებულ საქმიანობაში დასახმარებლად • ახალ გეგმებში მკაფიოდ შემუშავება თუ როგორ იქნებიან გარე გამომცდელები რეკრუტირებული და გამოყენებული გაუმჯობესებულ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ X მოთხოვნებს შეესაბამება ☐მ ე ტწ ი ლ ბ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ნ ა წ ი ლ ობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

5,3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები ყველა დაინტერესებული მხარის, პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოსაკვლევად და ამით აგროვებს ღირებულ ინფორმაციას კურიკულუმის განვითარების და სტუდენტთა გამოცდილების ირგვლივ პროგრამის გუნდისათვის გასაზიარებლად. შედეგები მოპოვებული ამ გამოკითხვებიდან და კურიკულუმის/სილაბუსის მოდიფიცირების საკითხი განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც შემდეგ წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განხორციელებული ცვლილებებით, ისევე, როგორც პროგრამის მიზნებითა და ამოცანებით და მისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ძალიან გულმოდგინედ გამოიყურება, უნმიშვნელოვანესია დისციპლინის აღიარება და პატივისცემა, კოლეგებმა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან უნდა გაითვალისწინონ პროგრამის გუნდის გამოცდილება და ცოდნა. კოლეგების სწავლებაზე დაკვირვებასთან დაკავშირებით, ასევე, გაუგებარია ხდება ეს რეგულარულად მოწვეული პერსონალის გარდა სხვა პედაგოგებთან დაკავშირებით, თუ არა. ანალოგიურად, კოლეგების შეფასებასთან დაკავშირებით, ნამდვილად არსებობს

საჭიროება კსუ-ში და სხვა საქართველოს უნივერსიტეტებში, რომ ხორციელდებოდეს გარე შემოწმების პროცესი სექტორის მასშტაბით მინიჭებული დიპლომების ეკვივალენტურიბის უზრუნველსაყოფად. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი) გამოუშვებს პირველ კურსდამთავრებულების ნაკადს 2019 წელს. პირველი აკრედიტაციის სემდეგ განხორციელდა ცვლილებები ეროვნულ სტანდარტებში, რომლებთანაც შესაბამისობა 2019 წლის იანვრამდე უნდა აჩვენოს საქართველოს ყველა სამედიცინო სკოლამ. მიმოხილვის სისტემა, ასევე, იღებს ძალიან სერიოზულად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციას, დოკუმენტაციის მომზადებას და ურთიერთობას კოლეგებთან, რაც მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება; • ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები • დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმა კრიტერიუმები; • დეკანის მიერ დამხმარე პერსონალის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები;
რეკომენდაციები: • შეფასება იმისა, თუ გარე მიმომხილველთა (მაგალითად დამსაქმებლების) გამოხმაურების შედეგები როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გაუმჯობესებისათვის..
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გარე გამომცდელთა პოზიციაზე ყოფნის ხანგრძლივობის განსაზღვრა და შეთანხმება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც გამოხატავს თქვენს პოზიციას სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის მიმართ ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნ ა წ ი ლობ რი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია(არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისური)**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **34**

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა **პროფესორი ოლვინ ვესტვუდი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სახელი, გვარი, ხელმოწერა ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია



სახელი, გვარი, ხელმოწერა დოქტორი ნიკოლოზ გვაზავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა დოქ. ცოტნე სამადაშვილი